ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ოქტომბრის 15.	№ 18 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

უ. 208. ა/კ. რკ. გზებზე შეშის დასატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის შესახებ.

„ 209. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალთა-ტეხნიკური საბჭოს დებულება.

„ 210. რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან არსებულ წყალთა-ტეხნიკურ თათბირთა დებულება.

„ 211. სატელეგრაფო და სატელეფონო ბოძების ფასის შემცირების შესახებ.

„ 212. სოფლად წერილების დამტარებელთა და ფოსტის აგენტთა შრომის პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 213. სამსახურის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანის გამო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 83. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წლის სექტემბრის 27. № 17/P.

208. **შუშის დასატვირთავად ა/კ. რკ. გზ. კახეთის ხაზის საგარეჯოს სადგურიდან მანავის ჩიხში ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.**

შუშის (31 ჯგ.) დასატვირთავად ა/კ. რკ. გზ. კახეთის ხაზის საგარეჯოს და ბადიაურის სადგურებ შორის მდებარე მანავის ჩიხში ვაგონების მიყენებისათვის ამა დადგენილებით დაწესდება ადგილობრივი ტარიფი, საერთო სარგებლობის მისავალ გზებზე ვაგონების მიყენების ტარიფისათვის შეფარდებით (ტარიფთა კრებ. 404 №-რი, 8447 №-რის ტარიფი), შემდეგი რაოდენობისა:

1. ერთდროულად, ერთი ორთქლმავალით არა ნაკლებ ათი ვაგონის მიყენებისათვის—32 კაპ. თითო ვაგონ-კილომეტრზე, ხოლო სულ 10 ვაგონზე მთელი მისაყენებელი მანძილისათვის (10 კილ.)—32 მან. (ორივე მიმართულებით).

2. ერთდროულად, ერთი ორთქლმავალით არა ნაკლებ 5 ვაგონის მიყენებისათვის—53 კაპ. თითო ვაგონ-კილომეტრზე, ხოლო სულ 5 ვაგონზე მთელი მისაყენებელი მანძილისათვის (10 კილ.)—26 მან. და 50 კაპ. (ორივე მიმართულებით).

3. გამოსაღები გადასახიდავად განცხადებული შუშის რაოდენობის შემოწმებისათვის, ტარიფთა კრებულის 1-ლი ნაწილის 44 პარაგრ. (XXXIV) თანახმად, გადახდევინებულ უნდა იქნეს 3 (სამი) მან. რაოდენობით თვითეული ფაქტიური შემოწმებისათვის.

4. ყველა დანარჩენი გამოსაღები გადახდევინებულ იქნება საერთო წესით, უცვლელად.

ტარიფი ესე შეფარდებულ იქნება მხოლოდ იმ ვაგონების მიყენებისათვის, რომლებზედაც უნდა დაიტვირთოს ქალაქ ლენინაკანის აღმასრულებელი კომიტეტის საავკრო-სამრეწველო ორგანოს შუშა, რაც დანიშნულ იქნება ქალაქ ლენინაკანის აღდგენის საჭიროებისათვის, და ამის გამო საჭიროა საგარეჯოს სადგურის უფროს წარედგინოს სათანადო მოწმობა შუშის დანიშნულების შესახებ.

ტარიფი ესე დაწესებულია ექვსი თვის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება 7 დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგ. არსებ. საუწყებათაშორისო სატა-
რიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერმიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო საქმეთა მმართველის
თანამდებობის_აღმ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

1927 წ. სექტემბრის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1590 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 49 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

209. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალთა-ტეხნიკური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. სექტემბრის 22. ტფილისი-სასახლე.

დებულება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალთა-ტეხნიკური საბჭოს შესახებ

1. წყალთა-ტეხნიკური საბჭო ტეხნიკური ორგანოა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან. მის მიზანს შეადგენს გაეცნოს და განიხილოს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამუშაოთა ტეხნიკური პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები და უაღრესი მნიშვნელობის ტეხნიკური საკითხები.

2. წყალთა-ტეხნიკურ საბჭოს შეადგენენ თავმჯდომარე და 14 წევრი. საბჭოს თავმჯდომარესა და 8 წევრს დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენით, იმ სპეციალისტებისაგან, რომელთაც ამ სამმართველოში სხვა რამ თანამდებობა არ უჭირავთ. დანარჩენ 6 წევრი საბჭოში ირიცხება თანამდებობის მიხედვით, სახელდობრ: ა/კ. წყალთა მეურნეობის სატეხნიკო-საწარმოო განყოფილებისა და სამეცნიერო-საკვლევო განყოფილების უფროსნი, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს საინსპექტორო-საკონტროლო განყოფილების გამგე და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების სატეხნიკო-საწარმოო განყოფილებათა 3 უფროსი.

3. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს თავმჯდომარეს დასახელებს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო; თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს დანიშნავს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი საბჭოს წევრთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს სხდომაში, პრეზიდიუმის მიწვევით, შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ, სათათბირო ხმის უფლებით, სპეციალისტებმა და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ცალკე სპეციალური საკითხებისათვის პირსონალურად მიწვეულმა პირებმა.

5. თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი შეადგენენ საბჭოს პრეზიდიუმს.

6. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) წყალთა მეურნეობის ისეთი სამუშაოთა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა, რაც 100.000 მან. აღემატება; აგრეთვე იმ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა, რასაც მას გადასცემენ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები; სხვა დაწესებულებათა ჰიდრო-ტეხნიკური მშენებლობის ტეხნიკური პროექტების განხილვა;

შენიშვნა. ზემოაღნიშნულ თანხაზე მცირე ღირებულების სამუშაოს წარმოება შეიძლება რესპუბლიკანური წყალთა-ტეხნიკური თათბირების მიერ დამტკიცებული პროექტებით.

ბ) იმ კანონპროექტებისა და ინსტრუქციების განხილვა, რითაც წყალთა მეურნეობა მოწესრიგდება;

გ) წყალთა მეურნეობის მშენებლობისა, გაუმჯობესებისა და გაფართოების ტეხნიკური საკითხების განხილვა;

დ) წყალთა მეურნეობის მდგომარეობის აღნუსხვისათვის გასაცემ დირექტივების განხილვა;

ე) ტეხნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის წესებისა და აგრეთვე სამუშაოთა შესახებ წარდგენილი ტეხნიკური ანგარიშების განხილვა, ეკონომიური ეფექტების აღნუსხვით;

ვ) ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სატეხნიკო-საწარმოო განყოფილების მიერ შემუშავებული რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისათვის გამოკვლევისა, პროექტების შედგენისა და ჰიდრომეტრულ, ჰიდრომდუღლურ და სხვ. დამხმარე სამუშაოთა სფეროში მისაცემი დირექტივების განხილვა;

ზ) წყალთა მეურნეობის სფეროში სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა პროგრამების განხილვა, კერძოდ, წყალთა რესურსების აღნუსხვისა და იმ მიწების სივრცის გამორკვევის სფეროში, რასაც წყლის მელიორაცია ესაჭიროება;

თ) სამუშაოთა ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებისა და იმ ტეხნიკურ ღონისძიებათა პროექტების განხილვა, რასაც მიზნად აქვს წყალთა მეურნეობის ნაგებობათა მუშაობის ნაყოფიერებისა და მომჭირნეობის გადიდება—ამ მუშაობის რაციონალიზაციისა და მექანიზაციის მეშვეობით და სხვ.

7. საქმეს საბჭოში განსახილველად შეიტანს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი პრეზიდიუმის მეშვეობით, რომელიც დანიშნავს მომხსენებელს წყალთა-ტეხნიკური საბჭოს წევრთაგან.

8. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო ტფილისში მყოფ წევრთა ნახევარი რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საკითხი გადასწყდება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმეტესობით.

10. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს გადაწყვეტილებანი დასამტკიცებლად ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს წარედგინება.

შენიშვნა. უკეთუ ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი თანახმა არ არის წყალთა-ტეხნიკური საბჭოს გადაწყვეტილებისა ამა თუ იმ პროექტის გამო, მას შეუძლიან ეს პროექტი გადასცეს წყალთა-ტეხნიკურ საბჭოს ხელახალი განხილვისათვის.

11. ზედამხედველობა წყალთა-ტეხნიკური საბჭოს დადგენილებათა აღსრულებისათვის შეადგენს მისი პრეზიდიუმის მოვალეობას.

12. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს საქმისწარმოება, მდივნის ხელმძღვანელობით, დაეკისრება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატს.

13. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს სხდომებში მონაწილეობისათვის მისი წევრნი და განსაკუთრებულად მიწვეული პირნი მიიღებენ საკეტონო გასამრჯელოს.

მოხსენების მომზადებისათვის და ცალკე საკითხების შემუშავებისათვის წყალთა-ტეხნიკური საბჭოს წევრნი და მიწვეული პირნი მიიღებენ განსაკუთრებულ გასამრჯელოს. საკეტონო გასამრჯელო განისაზღვრება იმ რაოდენობით, რაც ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული. მოხსენებების შედგენისათვის გასამრჯელოს განსაზღვრავს წყალთა-ტეხნიკური საბჭოს თავმჯდომარე, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1592 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 4-ს.

დადგენილება № 50 აჭარის სახალხო კომისართა საბჭოსი

210. რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან არსებულ წყალთა-ტეხნიკურ თათბირთა დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. სექტემბრის 22. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულება რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებულ წყალთა-ტეხნიკურ თათბირების შესახებ

1. წყალთა-ტეხნიკური თათბირი ტეხნიკური ორგანოა რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოსი. მის მიზანს შედგენს გაეცნოს და განიხილოს წყალთა მეურნეობის სამუშაოთა ტეხნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცვები და უფრესი მნიშვნელობის ტეხნიკური საკითხები, რაც-კი რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს კომპეტენციაში შედის.

2. წყალთა-ტეხნიკური თათბირის წევრებს, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენით, დანიშნავს ა/კესფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო 6-სი კაცის შედგენილობით. მეშვიდე წევრად, თანამდებობის მიხედვით, არის რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს სატეხნიკო-საწარმოო განყოფილების გამგე.

3. წყალთა-ტეხნიკური თათბირის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განიხილოს წყალთა მეურნეობის სამუშაოთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, რასაც შეიმუშავებს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო ან სხვა დაწესებულება და პირი, რომელიც ამ პროექტებს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარუდგენს; ამასთანავე, ისეთ სამუშაოს პროექტს, რაც 100.000 მან. არ აღემატება, დაამტკიცებს წყალთა-ტეხნიკური თათბირი, ხოლო ის პროექტი, რაც 100.000 მან. აღემატება, დასამტკიცებლად ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენებას; აგრეთვე განიხილოს სხვა რესპუბლიკანური დაწესებულების ჰიდრო-მეტრულ ნაგებობათა ტეხნიკური პროექტები;

ბ) განიხილოს წყალთა მეურნეობის მშენებლობის ტეხნიკური საკითხები;

გ) ნება დართოს თავისუფალი წყლის გამოყენანა; ამასთანავე იმ მდინარიდან წყლის გამოყენანისათვის, რომლის ბასეინიც მთლად ა/კესფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის საზღვრებშია, საბოლოოდ ნებას დართავს წყალთა-ტეხნიკური თათბირი; სხვა შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარედგინება;

დ) განიხილოს ინსტრუქციები წყლის სარგებლობის შესახებ;

ე) განიხილოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ საწარმოებელ საკვლევო მუშაობათა პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები, ტეხნიკური პროექტების წარდგენისათვის ვადის დანიშვნით, და აგრეთვე განიხილოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა კაპიტალური რემონტისა, გადაკეთებისა და დაშლის პროექტები; წყლის მოსარგებლეთა ხარჯით სარწყავთა ნაწილობრივი გადაკეთების პროექტები და არსებული სარწყავი ქსელისათვის წყლის გადასაგდები არხების მოწყობის პროექტები, როდესაც ოლქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგე შესაძლებლად ვერა სცნობს თითონ ნებადართოს მუშაობა ორს უკანასკნელს შემთხვევაში, საკითხის სტენოგიური სირთულისა ან სარწყავი ქსელის ახლო მომავალში მოსალოდნელი რეკონსტრუქციის გამო;

ზ) განიხილოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ წარმოებული მუშაობის საკითხები ამ მუშაობის ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის შესახებ, იმ ღონისძიებათა პროექტები, რასაც მიზნად აქვს მუშაობისა და წყლის სარგებლობის მომპირნეობით წარმოება და ნაყოფიერების გადიდება—ექსპლოატაციის ამა თუ იმ რაციონალური ტენოგიური მეთოდის დამყარებით, მასალისა და მუშა-ხელის შესამცირებლად სათანადო ღონისძიების მიღებით, მუშაობაში მექანიზაციის შემოღებით და სხვ.;

თ) განიხილოს სარემონტო საშუალებათა დამზადების საკითხები, სარემონტო ქარხნებისა და სხვა დამხმარე საწარმოთა პროექტები და მათი მდგომარეობისა, გადაკეთებისა და გაფართოების პროექტები.

4. წყალთა-ტენოგიური თათბირის თავმჯდომარეს დანიშნავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

5. წყალთა-ტენოგიური თათბირის სხდომაზე, მისი პრეზიდიუმის მიწვევით, შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ სპეციალისტებმა და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა მათი შესახები საკითხების გამო, აგრეთვე ცალკე სპეციალური საკითხებისათვის პერსონალურად მიწვეულმა პირებმა.

6. საქმეს თათბირში განსახილველად შეიტანს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი. თავმჯდომარე დანიშნავს მომხსენებელს წყალთა-ტენოგიური თათბირის წევრთაგან.

7. წყალთა-ტენოგიური თათბირის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო რესპუბლიკანურ ცენტრში მყოფ წევრთა ნახევარი რიცხვი.

8. საკითხი გადასწყდება სხდომაზე დამსწრე წეერთა ხმის მარტივი უმეტესობით.

9. წყალთა-ტენოგიური თათბირის გადაწყვეტილებანი დასამტკიცებლად რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს წარედგინება.

შენიშვნა. უკეთუ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი თანახმა არ არის წყალთა-ტენოგიური თათბირის გადაწყვეტილებისა ამა თუ იმ პროექტის გამო, მას შეუძლიან ეს პროექტი გადასცეს წყალთა-ტენოგიურ თათბირს ხელახალი განხილვისათვის.

10. ზედამხედველობა წყალთა-ტენოგიური თათბირის დადგენილებათა აღსრულებისათვის შეადგენს მისი თავმჯდომარის მოვალეობას.

11. წყალთა-ტენოგიური თათბირის საქმისწარმოება დაეკისრება რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატს.

12. წყალთა-ტენოგიური თათბირის სხდომებში მონაწილეობისათვის მისი წევრნი და განსაკუთრებულად მიწვეული პირნი მიიღებენ საყეტონო გასამრჯელოს.

მოხსენების მომზადებისათვის და ცალკე საკითხების შემუშავებისათვის წყალთა-ტენოგიური თათბირის წევრნი და მიწვეული პირნი მიიღებენ განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ გასამრჯელოს. საეტონო გასამრჯელო განისაზღვრება იმ რაოდენობით, რაც ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული. მოხსენებების შედგენისათვის გასამრჯელოს განსაზღვრავს წყალთა-ტეხნიკური საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1593 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 5-ს.

დადგენილება № 24 აპსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წ. სექტემბრის 29.

211. სატელეგრაფო და სატელეფონო ბოძების ფასის შემცირების შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღის (ეურნ. „Совет. Торг." 1927 წ. თებერვლის 15-ს თარიღისა და მე-9 №-ის დანართი) დადგენილების თანახმად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. რესპუბლიკანური ტყის ტრესტების: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქართველოს სატყეო სამრეწველო ტრესტისა, აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აზერბაიჯანის სატყეო ტრესტისა და სომხეთის სსრ სატყეო ტრესტის საპრეისკურანტო საგასაცემო ფასები სატელეგრაფო და სატელეფონო ბოძებზე შემცირებულ იქნეს 10 პროცენტით იმ ფასებთან შედარებით, რაც 1927 წ. იანვრის 19-თვის არსებობდა.

2. აღნიშნული შემცირება გავრცელებულ იქნეს ამა დადგენილების გამოცემამდე დადებულ ყველა ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისთვის ჩაუბარებელ პროდუქციას შეეხება.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორიც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურ. სამმ. უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1593 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 5-ს.

დადგენილება № 71 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ოქტომბრის 10.

212. სოფლად წერილების დამტარებელთა და ფოსტის აგენტთა შრომის პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. აგვისტოს 29-ს თარიღისა და 245 №-რის დადგენილება „სოფლად წერილების დამტარებელთა და ფოსტის აგენტთა შრომის პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზ. განყოფ. გამგე **ა. მელნიკოვი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფკ. საბჭო **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1599 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 12-ს.

დადგენილება № 182 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ოქტომბრის 10.

213. სამსახურის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანის გამო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

ამოკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—შრომის კოდექსის 82 მუხ. შეცვლის შესახებ 1927 წ. ივნისს 3-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წლის მაისის 25-ს თარიღისა და 56 №-რის დადგენილება „სამსახურის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანის გამო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრ. სახ. კ ტის საერთო-საორგ. განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1599 №-ში 1927 წ. ოქტობრის 12-ს.